სქიზმატებმა ჩერნოვცის ოლქში კანონიკური ეკლესიის ტაძარი მიიტაცეს

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური, 02.04.2025. ჩერნოვცის ოლქის სოფელ დუბოვციში, „მეუ"-ს წარმომადგენლებმა ნიღბიან „ბოევიკებთან" ერთად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიძინების ტაძარი მიიტაცეს.

თავდამსხმელები ტაძრის ტერიტორიაზე 1 აპრილის საღამოს შეიჭრნენ. მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის **ცნობით,** ტაძრის ხელში ჩაგდებაში მათ ნაციონალისტური მოძრაობის წარმომადგენლები ეხმარებოდნენ, რომლებიც ივანო-ფრანკოვსკის რეგიონიდან ჩამოიყვანეს.

„ბოევიკებმა ალყა შემოარტყეს და გადაკეტეს ტაძარი. გალავანთან შეკრებილია მართლმადიდებელი ქრისტიანები და სასულიერო პირები. დანაშაულის ადგილზე იმყოფება პოლიცია, მაგრამ საქმეში არ ერევა", - იუწყება მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი.

მანამდე, 28 მარტს, „მეუ“-ს წარმომადგენლებმა უკრაინის კიევის ოლქის ქალაქ ბელაია ცერკოვში კიდევ ორი ტაძარი **მიიტაცეს** – ქრისტეს შობის და ნეტარი ქსენია პეტერბურგელის სახელობის ტაძრები.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93041/